შპს სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

თბილისი 24 დეკემბერი 2025 წ.

ბრძანება № 160-25

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

უნივერსიტეტის დებულების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის 5.2 და 5.19 ქვეპუნქტებით რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №05-23 საოქმო გადაწყვეტილებით), „აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების დებულების“ მე-6 მუხლის 6.1 და 6.2 ქვეპუნქტების, მე-7 მუხლის 7.1.1, 7.1.2 და 7.1.4 პუნქტების, მე-8 მუხლის 8.2 ქვეპუნქტის, მე-9 მუხის 9.2; 9.3; 9.4; 9.5; და 9.10 პუნქტების შესაბამისად (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2022 წლის 21 დეკემბრის №09-22 საოქმო გადაწყვეტილებით), „უმაღლესი განათლების შესახებ“ 2004 წლის 21 დეკემბრის საქართველოს კანონის 32-ე, 33-ე, 34-ე და 35-ე მუხლების, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ 2020 წლის 17 მარტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის, უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის კვალიფიციური კადრებით წარმართვის უზრუნველსაყოფად, თეოლოგიის ფაკულტეტის დეკანის (23.12.2025; N180), სამართლის ფაკულტეტის დეკანის (23.12.2025; N179), სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის (23.12.2025; N181) შუამდგომლობების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2025 წლის 24 დეკემბრიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი ქვემოთ ჩამოთვლილ ფაკულტეტებზე შემდეგი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად:

   1.1. თეოლოგიის ფაკულტეტზე, აკადემიური ნიშნით შემდეგ სპეციალობაზე:

   1.1.1. ასოცირებული პროფესორი თეოლოგიი მიმართულებით - 1 ვაკანტური ადგილი, აფილირების პირობით;

   1.2. სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, აკადემიური ნიშნით შემდეგ სპეციალობებზე:

1.2.1. ასოცირებული პროფესორი ქართული ლიტერატურის მიმართულებით - 1 ვაკანტური ადგილი;

1.2.2. ასოცირებული პროფესორი სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის მიმართულებით - 1 ვაკანტური ადგილი;

1.2.3. ასოცირებული პროფესორი სოციოლოგიის მიმართულებით - 1 ვაკანტური ადგილი;

1.2.4. ასისტენტ-პროფესორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით - 1 ვაკანტური ადგილი;

1.2.5. ასისტენტი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით - 1 ვაკანტური ადგილი, აფილირების პირობით;

1.2.6. ასისტენტი სოციოლოგიის მიმართულებით - 1 ვაკანტური ადგილი, აფილირების პირობით

1.3. **სამართლის ფაკულტეტზე აკადემიური ნიშნით შემდეგ სპეციალობებზე:**

1.3.1. ასოცირებული პროფესორი, საჯარო სამართლის, უპირატესად ადამიანის უფლებების მიმართულებით - 1 ვაკანტური ადგილი, აფილირების პირობით ;

1.3.2. ასისტენტ-პროფესორი, კერძო სამართლის, უპირატესად საავტორო უფლებების მიმართულებით - 1 ვაკანტური ადგილი, აფილირების პირობით ;

2. თუ კანდიდატი ვერ დააკმაყოფილებს გამოცხადებულ მოთხოვნებს ის ვერ აირჩევა აკადემიურ თანამდებობაზე.
3. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევად დადგენილ ძირითად მოთხოვნებად და შეფასების კრიტერიუმებად განისაზღვროს:

ა) **აკადემიური ნიშნით** კვალიფიკაციის დამადასტურებელი **ძირითადი კრიტერიუმები:**

ასოცირებული-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:
შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და რომელიც აკმაყოფილებს ამ დებულებით განსაზღვრულ დამატებით მოთხოვნებს;

ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი და რომელიც აკმაყოფილებს ამ დებულებით განსაზღვრულ დამატებით მოთხოვნებს;

ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:
შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი.

ბ) დამატებითი კრიტერიუმები:
აკადემიური ნიშნით შერჩევისას:

- ➢ სასწავლო კურსის სილაბუსი;
- ➢ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები/პუბლიკაციები;
- ➢ საერთაშორისო გამოქვეყნებები;

4. კონკურსანტი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი აკადემიური თანამდებობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე, დადგენილი ფორმის შესაბამისად (იხ დანართი1)
ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა) ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში - პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი);
გ) ფოტოსურათი (დაბეჭდილი 3×4 -ზე ან და ელექტრონული - CD მატარებელზე);
დ) ავტობიოგრაფია (CV ქართულ და ინგლისურ ენებზე) დადგენილი ფორმის შესაბამისად (იხ დანართი 2.1 და 2.2);
ე) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების/პუბლიკაციების სია;
ვ) კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები:

ასოცირებული-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:
აკადემიური ნიშნით:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხისა დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
- არანაკლებ 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი

ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხისა დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი

ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხისა და დოქტორანტურაში სწავლის ცნობა;

შენიშვნა: უცხოეთში მიღებული განათლების/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში ასევე წარსადგენია ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი.

ზ) სასწავლო კურსის სილაბუსი;

შენიშვნა: უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება. უნივერსიტეტი ვალდებულია პირისათვის შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭებამდე მოსთხოვოს მას წარმოადგინოს:

- ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“;

- ცნობა „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ .

5. ასოცირებული პროფესორი აკადემიურ თანამდებობაზე აირჩევა 6 წლის ვადით;
6. ასისტენტ-პროფესორი აკადემიურ თანამდებობაზე აირჩევა 4 (ოთხი) წლის ვადით;
7. ასისტენტი აკადემიურ თანამდებობაზე აირჩევა 4 (ოთხი) წლის ვადით.
8. დასაქმებულის შრომის ანაზღაურების ოდენობა და გაცემის წესი დადგინდეს შესარჩევ კანდიდატთან დამატებითი შეთანხმებით.
9. კონკურსთან დაკავშირებით დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერი (ციცინო ხითარიშვილი), ტელ.: 577347700, ელექტრონული ფოსტა info@sabauni.edu.ge.
10. საბუთების მიღება განხორციელდეს 2026 წლის 25 იანვრიდან 27 იანვრის ჩათვლით ელექტრონულ ფოსტაზე info@sabauni.edu.ge ან უნივერსიტეტში (მხოლოდ სამუშაო დღეებში) მისამართზე: კალისტრატე ქუთათელაძის ქ.N 3, 205 კაბინეტში. დოკუმენტაციის მიღებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ციცინო ხითარიშვილი, ტელ.: 577347700.
11. საკონკურსო კომისიამ მუშაობა განახორციელოს 2026 წლის 28-29 იანვარს.

12. კონკურსის შედეგები გამოცხადდეს 2026 წლის 30 იანვარს.
13. კონკურსის შედეგები კანდიდატებს ეცნობოთ პერსონალური ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნით.
14. ინფორმაცია კონკურსის შესახებ განთავსდება შპს „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.sabauni.edu.ge), დასაქმების განცხადებების ცნობად ვებ-გვერდ(ებ)ზე (www.hr.ge ან/და www.jobs.ge ან/და www.gancxadebebi.ge).
15. ბრძანება ძალაშია ოფიციალური წესით გამოქვეყნებისთანავე.

რექტორი

აკაკი ჭელიძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს
Chairman of the Competition Commission

მოქალაქე/Citizen:	
პირადი /ID card/passport №	
მისამართი/Address:	
მობილურის ნომერი/mobile number	
მეილი/Mail:	

კონკურსანტის განცხადება/Contestant's statement

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის მიზნით, მსურს მონაწილეობა მივიღო 2025 წლის 24 დეკემბრის №160-25 ბრძანებით გამოცხადებულ
In order to be elected to an academic position at Sulkhan-Saba Orbeliani University LLC, I would like to participate in the election announced by Order No. 160-25 of 24.12 2025

ღია კონკურსში / in open competition: _____
(ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი ასისტენტი) (associate professor, assistant-Professor, assistant)

დასაკავებლად/to arrest , _____
(მიუთითეთ საკონკურსო ვაკანსიის მიმართულება/სპეციალობა/სპეციალიზაცია ან სხვ.)
(Indicate the direction/specialty/specialization or others of the competitive vacancy)

_____
(მიუთითეთ თქვენს მიერ კონკურსზე წარსადგენი სასწავლო კურს(ებ)ის დასახელება/დასახელებები)
(Indicate the name/names of the course(s) you will submit to the competition)

ხელმოწერა/signature: _____

თარიღი/Date: _____

ინფორმაცია საბუთების რეგისტრირაციის შესახებ Information about registration of documents	_____ № სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით According to the registration journal no	_____ თარიღი Date
საბუთები მიიღო: Received documents:	_____ სახელი, გვარი Name, surname	_____ ხელმოწერა signature

საკონტაქტო ინფორმაცია

სახელი, გვარი:
მისამართი:
ტელეფონი:
მეილი:

განათლება

აღწერა	თარიღები *(ქრონოლოგიურად ახლიდან - ძველისკენ)*

პედაგოგიური გამოცდილება

აღწერა	თარიღები *(ქრონოლოგიურად ახლიდან - ძველისკენ*

სამუშაო გამოცდილება

აღწერა	თარიღები *(ქრონოლოგიურად ახლიდან - ძველისკენ*

კონფერენციები

აღწერა	თარიღები *(ქრონოლოგიურად ახლიდან - ძველისკენ*

სემინარები და ტრენინგები

აღწერა	თარიღები *(ქრონოლოგიურად ახლიდან - ძველისკენ*

გრანტები და სტიპენდიები

აღწერა	თარიღები *(ქრონოლოგიურად ახლიდან - ძველისკენ*

პროფესიული საზოგადოების წევრობა

-

ენობრივი კომპეტენცია
(ჩამოთვალეთ ენები -ცოდნის დონის მითითებით)

-

სხვა უნარ-ჩვევები

-

გამოქვეყნებული ნაშრომები

N	სათაური	ენა	ავტორები	გამომცემელი	წელი (ქრონოლოგიურად ახლიდან-ძველისკენ)
წიგნები					
სტატიები					
თარგმანები					

PERSONAL INFORMATION

Name, Surname:
Address:
Tel:
Mail:

EDUCATION

Description	Dates *(Chronologically from new to old)*

TEACHING EXPERIENCE

Description	Dates *(Chronologically from new to old)*

WORKING EXPERIENCE

Description	Dates *(Chronologically from new to old)*

CONFERENCES

Description	Dates *(Chronologically from new to old)*

TRAININGS AND SEMINARS

Description	Dates *(Chronologically from new to old)*

GRANTS AND FELLOWSHIPS

Description	Dates *(Chronologically from new to old)*

PROFESSIONAL MEMBERSHIPS

-
-
-

LANGUAGE COMPETENCE

(list the languages - indicating the level of knowledge)

-

RELEVANT SKILLS

-

LIST OF PUBLICATIONS

N	TITLE	LANGUAGE	AUTHOR(S)	PUBLISHER	YEAR *(Chronologically from new to old)*
BOOKS					
ARTICLES					

TRANSLATIONS					